

## ავტობიოგრაფია

მე, თამაზ თაყაძე დავიბადე 1959 წლის 2 იანვარს გორის რაიონში. 1976 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა, ხოლო 1977 წელს ხიდისთავის პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი. 1978-1979 წლებში სპეციალობით ვმუშაობდი ზეინკალ შემკეთებლად სოფტექნიკის გორის საწარმოში.

1979 წლის აგვისტოში სასწავლებლად ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე, რომლის სრული კურსი დავამთავრე 1984 წელს სპეციალობით სამართალმცოდნე, კვალიფიკაცია-იურისტი მაგისტრთან გათანაბრებული დიპლომით. სახელმწიფო გამანაწილებელი კომისიის მიერ განაწილებული ვიქენი პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ.

1985 წელს დავინიშნე გორის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, 1986 წელს პროკურორის თანაშემწედ, ხოლო 1990 წელს გორის სარაიონოთაშორისო პროკურორის თანაშემწედ.

1991 წელს გამწესებული ვიქენი მოსამართლედ 10 წლის ვადით გორის რაიონულ სასამართლოში. ვადის ამოწურვის შემდეგ 2002 წელს გამწესებული ვიქენი ხაშურის რაიონულ სასამართლოში 10 წლის ვადით, სადაც ვიმუშავე 2006 წლის აპრილამდე.

2009-2014წწ. ვეწეოდი საადვოკატო საქმიანობას. 2013 წლის აგვისტოში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისას საკონკურსო წესით ცესკოს მიერ არჩეული ვიქენი დროებით წევრად კასპის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო 2014 წელს მუდმივ წევრად და იმავე დროს ვახორციელებდი საოლქო კომისიის მდივნის უფლებამოსილებას. 2016 წლის თებერვალში საკონკურსო წესით არჩეული ვიქენი N 02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მუდმივ წევრად და ამავე დროს ვახორციელებდი თავმჯდომარის უფლებამოსილებას 2020 წლამდე.

2020 წლის თებერვალში გავიმარჯვე ცესკოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და 9 მარტს დავინიშნე ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის და

საარჩევნო დავების განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე,  
სადაც დღემდე ვმუშაობ.


2000 წელს ჩაბარებული მაქვს მოსამართლეობის გამოცდები საერთო სპეციალობით.

გარდა მშობლიური ენისა ვფლობ რუსულ ენას და გერმანულს ლექსიკონის დახმარებით. ვიცი  
ინგლისური წერა და კითხვა.

არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი.

სამხედრო წოდებით ვარ თადარიგის ოფიცერი.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.



თამაზ თაყაძე

05.07.2021წ.